პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ГАЗЕТА ОСНОВАНА 3 ИЮНЯ 1920 ГОДА

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 207 (19648) ◆ სამშაბათი, 9 სექტემბერი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

ჯილდოები — სოფლის მშრომელებს

მაღალ შედეგებს მიაღწიეს განვლილ სამეურნეო წელს კახეთის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა. დაუბრისპირეს რა უამინდობას, მუშაობაში წარმოქმნილ სიძნელეებსა და პრობლემებს სიმტკიცე და ორგანიზებულობა, მიზანდასახულობა და დისციპლინა, მათ ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავალი მოიწიეს და სახელმწიფოს გეგმის გადაჭარბებით ჩააბარეს საკმაოდ ბევრი ხორცი, რძე, კვერცხი, მეცხოველეობის სხვა პროდუქცია. წარმატებას მეკვლეობისა და მექანიზატორების, მეცხოველეებისა და მხვნელ-მთესველების საერთო ძალისხმევით მიაღწიეს. მათგან ოთხასზე მეტი კაცი დიდი საწარმოო მაჩვენებლების, მეთერმეტე ხუთწლედის საგეგმო დავალებებისა და სოციალისტური ვალდებულებების წარმატებული რეალიზაციისათვის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდა.

6 სექტემბერს თელავში გურჯაანის, თელავის, ახმეტის, სიღნაღის, წითელწყაროს, ყვარლის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, თიანეთის რაიონების მშრომელებს საპატიო სახელმწიფო ჯილდოები გადასცეს ამხანაგებმა ჯ. ი. პატიაშვილმა, პ. გ. გილაშვილმა ა. ნ. ინაურმა, ო. ე. ჩერქეზიამ.

მათ გულთბილად მოულოცეს დაჯილდოებულთ და აღნიშნეს, რომ სოფლის მშრომელების გარჯის ესოდენ დიდი დაფასება ყველას — შრომის ვეტერანების, ახალგაზრდობის, პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოების დამსახურებაა.

ხაზგასმით ითქვა, რომ რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის წინაშე მეთორმეტე ხუთწლედში რთული და დაძაბული ამოცანები დგას. [illegible] ინტენსიფიკაცია, გაძლიერდეს [illegible] ტიკული უკუგება. ამ ბრძოლის ავანგარდში უნდა იყვნენ მოწინავე მშრომელები, ასინი პირად მაგალითს უნდა უჩვენებდნენ ყველგან და ყველაფერში, მათ შორის დისციპლინის, ფხიზელი ცხოვრების წესის განმტკიცებაში, უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის აქტივიზაციაშიც. მარტო ამ საფუძველზე შეიძლება იმ ამოცანების პირნათლად შესრულება, რომლებიც რესპუბლიკის კომუნისტებს, ყველა მშრომელს დაუსახეს სკკპ XXVII ყრილობამ, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობამ.

(საქინფორმი).

მ. ს. გორბაჩოვის პასუხი

გაზეთ „რუდე პრავოს“ მთავარი რედაქტორის ამხანაგ ზდენეკ გორჭენის კითხვებზე

კითხვა: თქვენმა განცხადებამ [illegible] აფეთქებათა [illegible] მორატორიუმის 1987 წლის 1 [illegible] ანვრამდე გაგრძელების თაობაზე ძალზე ფართო გამოხმაურება გამოიწვია და, როგორც ჩვენ ჩანს, [illegible] ვფიქრობთ, სერიოზული. გავლენა მოახდინა მსოფლიოში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალების განაწილებაზე განიარაღების საკითხებში.

როგორ აფასებთ ამის მიზეზებს და საბჭოთა კავშირის ინიციატივის [illegible] ეტაპის შესაძლო შედეგებს?

პასუხი: კითხვის პირველ ნაწილზე პასუხი ნათელია. საბჭოთა მორატორიუმის ამბავი დღეს მნიშვნელოვნად მეტმა ხალხმა შეიტყო, ვიდრე ცოტა ხნის წინათ. დასავლეთის პოლიტიკურ ლიდერებსა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს სულ უფრო უჭირთ დუმილით აუარონ გვერდი ცალმხრივი ნახევარწლიანი მორატორიუმის ფაქტს, და გამოცდების სასარგებლოდ ამერიკის არგუმენტებიც აშკარად გახუნდა, დაკარგა საზოგადოებრივობაში ზემოქმედების ძალა. ეს ერთი, ხოლო მეორე, მსოფლიოში სულ უფრო ღრმად იგრძნო ბირთვული საფრთხის რეალობებს. მისი თავიდან აცილება შეიძლება მხოლოდ იმ გზით, თუ მოისპობა, როგორც ჩვენ ვთვავზობთ, ბირთვული იარაღი, ხოლო როგორც პირველი ნაბიჯი — შეწყდება ბირთვული გამოცდები. რომ იტყვიან, ეს დღესაკი ნათელია. ეს არ შეიძლება გულის სიღრმეში არ ეშმოდეთ იმათაც, ვინც შეპყრობილია გამალებული შეიარაღების იდეით.

საბჭოთა მორატორიუმს მხარი დაუჭერეს, ამერიკას მოუწოდეს, მიბაძოს სსრ კავშირს, ჩვენმა სოციალისტურმა მეგობრებმა, კომუნისტურმა პარტიებმა, მიუერთდნენ მოძრაობის ჰარარეს ფეერენციამ, რომელიც წარადგენს ათობით სახელმწიფოს, „დელის ექსეულის“ ლიდერებმა, მრავალრიცხოვანმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა და პროფკავშირებმა, ავტორიტეტიანმა პოლიტიკურმა პარტიებმა, მათ შორის, დასავლეთგერმანელმა სოციალ-დემოკრატებმა და ბრიტანელმა ლეიბორისტებმა, მსოფლიოს თვალსაჩინო მეცნიერებმა და კულტურის მოღვაწეებმა. მთლიანად შეიძლება ითქვას, რომ უფრო ადვილია იმათი ჩამოთვლა, ვინც მხარი არ დაუჭირა ჩვენს აქციას, ვიდრე იმათი, ვინც იგი მოიწონა.

ეს გამოსვლები — მათ კი ჩვენ ღიად ვაფასებთ — ადასტურებს, რომ ახალი პოლიტიკური აზროვნება იკვალავს გზას ყველასულ ცრურწმენებში, მოძველებულ წარმოდგენებში, „საბჭოთა საფრთხის“ შესახებ სიცრუის ნერგილებში.

რამდენადაც ამერიკისავე მონაცემებით შეიძლება ვიმსჯელოთ, ბირთვული გამოცდების შეწყვეტის იდეას მხარს უჭერს ამერიკის შეერთებული შტატების საზოგადოებრივი აზრიც, კონგრესის მნიშვნელოვანი ნაწილიც.

ერთი სიტყვით, ჯერ არასოდეს ყოფილა ასე საყოველთაოდ აღიარებული, რომ ბირთვული ომი შეუძლებელია და მასში არ შეიძლება იყოს გამარჯვებული, სამარცხვინო მოქმედების რაც უნდა შემაკური სცენარები შეიმუშაონ. ამას ემატება სხვა რამეც: შეერთებული შტატების პოლიტიკა სულ უფრო მეტად აშიშებს ხალხს. მილიტარისტული კურსის აშკარა გამოვლინებად ბევრს აუხსნია თვალი, და იმის გამო შიშს, რომ კატასტროფა ნამდვილად შეიძლება მოხდეს, უკვე ვეღარავინ დაფარავს.

ეროვნანსი, რომელიც გამოიწვია საბჭოთა კავშირის მიერ ბირთვულ აფეთქებათა შეწყვეტამ, დაკავშირებულია, რა თქმა უნდა, იმასთანაც, რომ ეს დეკლარაცია კი არა, მოქმედებაა. ჩვენ უკვე მეოთხედ გავახანგრძლივეთ მორატორიუმი. უფიფეშებრ წელი ეს უკვე პოლიტიკური და სამხედრო რეალობაა. გონიერებისა და საღი აზრის ტენდენცია ახლა პრაქტიკულად არსებობს მსოფლიო პოლიტიკაში და შეიძლება განვითარდეს, განმტკიცდეს ბირთვული გამოცდების ორმხრივი აკრძალვის შესახებ შეთანხმებით, ბერეთვე სხვა გაბედული, ძლიერი ნაბიჯებით, მომწიფებული და გადაწყვეტილი საკითხების გადაწყვეტით.

ბანა, მაგალითად, ევროპის და, კაცმა რომ თქვას, მთელი მსოფლიოს ბედისათვის საჭირო არ არის სტოკჰოლმის კონფერენციის მუშაობა დაგვირგვინდეს კარგი მორიგებით? რა. თქმა უნდა, ასეა. და თავის მხრივ საბჭოთა კავშირი ჩეხოსლოვაკიასთან, სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ერთად პრაქტიკულ ღონისძიებებს მიმართავს, რათა ასეც მოხდეს. არს შესაძლებლობა — მე უკვე ვამბობდი ამის თქმა — შევთანხმდეთ ქიმიური იარაღის აკრძალვისა და მისი სამრეწველო ბაზის ლიკვიდაციის თაობაზე.

კითხვა: ამბობენ, რომ საბჭოთა ბირთვული იარაღი „უფრო მარტივია და არ საჭიროებს საიმედობის შემოწმებას“. ხოლო ამერიკული — „უფრო რთულია და ამიტომ საჭიროა მისი ეფექტიანობის მუდმივი გამოცდა“.

მოიგონეს მეორე ვერსიაც, თითქოს საბჭოთა კავშირს 1985 წელს მორატორიუმის გამოცხადებამდე სრულყოფს თავისი ბირთვული არსენალი, მნიშვნელოვნად გაესწროს ამ მხრივ ამერიკისათვის და ამიტომ ახლა შეუძლია დაახანოს გამოცდა. შეერთებული შტატებს კი ახლა „დაწევა“ უწევს, და ამიტომ აწყობს აფეთქებებსო.

სიმართლის ნატამალი თუ უერია ამაში?

პასუხი: არავითარი. ყველა ეს მტკიცება თავით ბოლოდან სიცრუეა.

სპეციალისტები ფრიად დამაჯერებლად ამტკიცებენ: იმისათვის, რომ დარწმუნებული ვიყოთ უკვე არსებული ბირთვული იარაღის საიმედოობაში, სულაც არ გვჭირდებიან ბირთვული აფეთქებები. საიმედოობის გაკონტროლება შეიძლება ასევე ეფექტიანად და ამასთან გაცილებით უფრო იაფად და უსაფრთხოდ სხვა მეთოდებით, ბირთვული აფეთქებების გარეშე.

იმის, რომ შეიძლება დარწმუნებული ვიყოთ ბირთვული საბრძოლო მასალის ვარგისობაში აფეთქებების მოუწყობლად და მხოლოდ ბომბების უბირთვო კომპონენტებისა და ქობინების შემოწმების მეშვეობით, მოწმობს ხანგრძლივი პრაქტიკაც. 1974 წლიდან ამერიკის შეერთებული შტატები და სსრ კავშირი არ აწყობენ, არსებული ხელშეკრულების შესაბამისად, 150 კილოტონნაზე მეტი სიმძლავრის გამოცდებს. არადა, ამერიკის შეერთებული შტატების ბირთვულ არსენალში სიმძლავრით ამ ზღვარზე მეტი საბრძოლო მასალა 70 პროცენტს სჭარბობს, არც ჩვენა გვაქვს ნაკლები. მაშასადამე, ჩვენც და მთაც გვჭერა იარაღის საიმედოობისა აფეთქებების გარეშე! რაღა საჭიროა საკითხის გაბუნდოვანება?

თუ ამერიკელებს ეეშკვებათ თავიანთი ბირთვული არსენალის სტაბილურობა, მაშინ კეთილ ინებონ და დაგვთანხმდნენ გამოცდების შეწყვეტის შეთანხმების შემუშავებაზე, ჩვენი სპეციალისტები კი გაუზიარებენ მათ „საიდუმლოებებს“, თუ როგორ მოწმდება ბირთვული მუხტების მდგომარეობა გამოუცდელად.

არა, ბირთვული იარაღის გამოცდები, რომლებსაც შეერთებული შტატები აწყობს, მთავარ მიზნად ისახავს პრინციპულად ახალი ტიპების იარაღის შექმნას. რას ნიშნავს ეს? აი რას: მუშავდება მომეტებული სიმძლავრისა და დიდი სიზუსტის ახალი ბირთვული ქობინები. გამოცდების დროს იქმნება კოსმოსური ბაზრების ბირთვული იარაღი — რეტგენული ლაზერები ეგრეთ წოდებული ბირთვული წყاროთი. მიმდინარეობს მუშაობა ისეთი სრულიად ახალი სახეობის იარაღის მოსამზადებლად, რომელსაც შეუძლია სამიზნეების დაზიანება დედამიწაზეც და კოსმოსშიც. ამ პირობებში თვალთმაქცობაა იმის თქმა, თითქოს გამოცდების აკრძალვა არაფერს არკვდეს ბირთვული განიარაღების პრობლემის გადაწყვეტას.

რაც შეეხება მეორე არგუმენტს, იგი კიდევ შეიძლებოდა მართლაც დამაჯერებლად მოსჩვენებოდა ვინმეს ჩვენი მორატორიუმის პირველი ორიოდე თვის განმავლობაში, მაგრამ არა ახლა, როცა უკვე მეორე წელია, რაც საბჭოთა ბირთვული ეფექტიანობა [illegible] ბირთვული ბირთვული [illegible] ბირთვული [illegible] ბირთვული [illegible]

მ. ს. გორბაჩოვის პასუხი

გაზეთ „რუდე პრავოს“ მთავარი რედაქტორის ამხანაგ ზდენეკ გორჟენის კითხვებზე

(დასასრული)

მაგრამ ჩვენ ძალზე დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ დროის ფაქტორს და ასე ვერ გადავწყვიტავთ: მოდი „გავიტრუნებთ“, ორწელიწად-ნახევარს გავიჭვებთო. არა. ლოდინი, დახანება მიუტევებელი შეცდომა იქნებოდა. ჩვენ კვლავაც ხელიდან არ გავუშვებთ არც ერთ შესაძლებლობას პროდუქტიული დიალოგისათვის, შეიარაღების შეზღუდვა-შემცირების გზით წინსვლისათვის, აგრეთვე რეგიონალური კონფლიქტების მოწესრიგებისათვის, ყველა აქტუალური მიმართულებით საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებისათვის. ამ თვალსაზრისით ჩვენ პირნათელნი ვართ საბჭოთა ხალხის წინაშე და სხვა ხალხების წინაშეც. ჩვენი კარგად ესმით, ჩვენ თანამიმდევრულად და მტკიცედ გვიჭერენ მხარს ჩეხოსლოვაკიელი მეგობრები, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნები.

მინდა, საგანგებოდ აღვნიშნო: ჩვენ დიდად ვაფასებთ და ზედმიწევნით ვითვალისწინებთ ჩვენი მოკავშირეების აზრს, მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი კვლავაც გავაუმჯობესოთ კონსულტაციების, სოციალიზმის საგარეო პოლიტიკის ერთობლივი შეფუშავების მექანიზმი და მეთოდები. ჩვენ დიდად ვაფასებთ მოკავშირეებისა და მეგობრების პოლიტიკურ ინიციატივებს, მათს აქტიურობას ახლებური პოლიტიკური აზროვნებისათვის ბრძოლაში, ქმედითსა და თანასწორუფლებიან მონაწილეობას საერთო ძალისხმევაში მშვიდობის, უშიშროების, განიარაღების პრობლემების გადასაჭრელად.

დუმილით ვერ ავუვლი გვერდს საქმის კიდევ ერთ მხარეს, როშელიც უმაღლესი დონის შეხვედრის პერსპექტივებთან არის დაკავშირებული. ნაირ-ნაირ ჭორებს თხზავენ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან ჩემი კონფიდენციალური მიმოწერის ირგვლივ. არ მინდა გავამხილო მისი შინაარსი, მაგრამ მონაჭორებზე უთუოდ უნდა ვთქვა. ძალზე სცოდავენ ისინი ნაძალადევი ოპტიმიზმით, არის ამ მონაჭორებში რაღაც რეკლამისმაგვარიც.

ივლისის დამლევს მოგვივდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მორიგი წერილი, ვითომდა პასუხი ჩვენს ინიციატივებზე. ვიცი, რომ დასავლეთში ამ წერილს ასაღებენ რაღაც სიახლედ ვაშინგტონის პოზიციაში, აწყობენ მის ირგვლივ ადმინისტრაციისათვის ხელსაყრელ „გაჟონვას“, თავი ისე უჭირავთ, ვითომდა, ჩვენ ჩვენი ვქენით, ახლა კი ყველაფერი მოსკოვზეაო დამოკიდებული. ჩვენს პასუხს, რა თქმა უნდა, გავცემთ პრეზიდენტს.

მე პრეზიდენტის წერილი მთელი სიგრძე-სიგანით, ფიგურალურად რომ ვთქვათ, მიკროსკოპითაც და ტელესკოპითაც შევისწავლე. უფრო კონკრეტულს არაფერს ვიტყვი — აკი შევთანხმდით კონფიდენციალურობის თაობაზე. მაგრამ ჩემთვის გასაგებია ადამიანთა წადილი იცოდნენ, რა არის მაინც აქ — ამ დახურულ მიმოწერაში. ეს ხომ ყველას ეხება, დედამიწის ყველა ადამიანს. მათ რომ შეძლებოდათ გასცნობოდნენ ორივე წერილის ტექსტს, შეედარებინათ თითოეულის მნიშვნელობა განიარაღების გზაზე არსებული მთავარი კვანძების გასახსნელად, დაინახავდნენ, რაოდენ სერიოზულად და პასუხისმგებლურად უდგება საბჭოთა ხელმძღვანელობა ომის თავიდან აცილების პრობლემებს, რაოდენ კონკრეტულად, საქმიანად ვაყალიბებთ ჩვენს წინადადებებს და ამასთანავე როგორ ვითვალისწინებთ მეორე მხარის ინტერესებს.

ნახავდნენ აგრეთვე, რაოდენ შორს ვართ უიმედობის პოზიციისაგან, როგორ გვწამს გონიერების ძალა და კაცობრიობის თვითშენარჩუნების გრძნობა.

ჩვენი მოქმედებითა და ინიციატივებით ვცდილობთ ხალხებს განვუმტკიცოთ იმედი, რომ ბირთვული ომის ტუაცია შეიძლება შეიცვალოს, ... რომ არსებობს კონფრონტაციის — ... ხელმისაწვდომი ალტერნატივა. მგონი, ჩვენ უკვე დაგვიდგა გლობალური ანტებირთვული პროცესის მეორე ფაზა, არა მარტო იმედების, არამედ აგრეთვე რეალისტური გეგმებისა და მათგან გამომდინარე კონკრეტული მოქმედების ფაზა. როგორც კომუნისტს, მე მწამს მასების ძალისა, რომლებსაც ეუფლება ახლებური აზროვნება, კრიზისული ძდგომარეობის გამოსავალს რომ მიანიშნებს.

ერთობლივი, პასუხისმგებლური, თუნდაც კომპრომისული გადაწყვეტილებების მიღების დროს ... ...

ეპოქა

ფაქტები • მოვლენები

გზა გადავუკეტოთ უშრომელ შემოსავალს

ათიოდე წლის წინათ სერგო ბოლქვაძეს საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის რესპუბლიკური გაერთიანების „საქსაკოლმშენის“ ქედის რაიონის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაცია ჩაბარეს და ასაშენებელი ობიექტების ნუსხაც გადასცეს. სერგომ რაიონის სამშენებლო საბჭოს თავმჯდომარის კაბინეტსა და უფროსის მანტიაში ყოველშემძლედ იგრძნო თავი და საქმესაც ისე შეუდგა. მუშაობდა როგორც სურდა, როგორც ხელს აძლევდა...

საბჭოს თავმჯდომარემ კარგად იცოდა, რომ ქვეყნად ფულის შოვნის ორი გზა არსებობს — პატიოსანი და უკეთური. უკეთური გზა ყოველთვის ბეწვის ხიდზე გადის. იმვითია, ბეწვის ხიდი რომ არ ჩატყდეს, დანაშაღი განსასჯელის სკამზე არ მოხვედეს. სერგომ მაინც საბიფთო გზაზე სიარული აირჩია. იმედი ჰქონდა, იმ გზაზე თანამოაზრეებს შეხვდებოდა და ბოლომდე გააღწევდა...

ეხმორჩისის კოლმეურნეობის ფერმის მშენებლობა საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო საბჭომ 1982 წელს დაიწყო და 1983 წელს „ჩაბარა“. სხვათა შორის აქტში ჩაწერილია, რომ მშენებლობა შესრულებულია „ეარგზე“. ფაქტობრივად საკონტროლო გაზომვით დადგინდა, რომ ობიექტზე 9300 მანეთის წამატება იყო. ცხმორისისა და რაიონის სხვა მშენებარე ობიექტებზე არსებული მდგომარეობის შესახებ სიგნალი შევიდა რაიონის პროკურატურაში. პროკურატურამ გაერთიანებას მისწერა, ქედის საკოლმეურნეობათაშორისო საბჭოში მოეწყოთ რევიზია. შემოწმებით გამოირკვა, რომ წამატებები იყო თითქმის ყველა ობიექტზე. მაგალითად, ცხმორისის ვეტუბანი აქტით 1983 წელს გადაეცა საექსპლოატაციოდ. სინამდვილეში 9900 მანეთის სამუშაო დღესაც შეუსრულებელია. ოქტომბრის კოლმეურნეობის კლუბ-კინტორის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 165 ათას მანეთს შეადგენდა. 1982 წელს გაფორმებულ აქტში ვკითხულობთ, რომ შენობა მთლიანად „ჩაბარდა“. სინამდვილეში კანტორის მშენებლობაზე 60 ათასი მანეთის წამატებანი იყო. იგი დღესაც დაუმთავრებელია. მიღება-ჩაბარების აქტები უხმაუროდ და ფარულად ფორმდებოდა. ბოლქვაძე ზემდგომ ორგანოებში ყალბ ცნობებს გზავნიდა, თითქოს მშენებლობის გეგმებს გადაჭარბებით ასრულებდა. ამ გზით რაიონსა და გაერთიანებაში მოწინავე ორგანიზაციად ითვლებოდა. საბჭოს თავმჯდომარემ, რაკი პირველი ცოდვები შერჩა და ფონს მშრალად გააღწია, ირწმუნა, კვლავაც შემრჩებაო და დანაშაულის გზას უფრო გაბედულად დაადგა.

ბუნებრივად ისმება კითხვა: სად იყო მაკონტროლებელი ორგანოები. ნუთუ ისინი ერთხელაც არ დაინტერესებულან გაეგოთ, რა ხდებოდა სამშენებლო საბჭოში? როგორ არა. ქედის რაიონის პროკურატურამ (პროკურორი გ. აბაშიძე, გამომძიებელი ლ. მამულაძე) კეთილსინდისიერად იმუშავა, რომ საქმისათვის სინათლე მოეფინა. დაკითხულია ხუთასამდე კაცი, აიკინძა 36 ტომი. მოკვლევით დადასტურდა, რომ 1983 წლის ივლისში რესპუბლიკური გაერთიანების „საქსაკოლმშენის“ რევიზორებმა რ. ნაზარიშვილმა და დ. ბეჟანიშვილმა „შეისწავლეს“ ქედის სამშენებლო საბჭოში არსებული მდგომარეობა და საგანგაშო „ვერფერი ნახეს“. მეტისმეტი გულუბრყვილობა იქნება, ჩვენი მხრივ, მათ ვერწმუნოთ. როგორც ჩანს, საბჭოს თავმჯდომარემ რევიზორებთან გამონახა საერთო ენა და სინამდვილე მიატუნჭრეს. რა დიდი ძალნა უნდოდა. დაუმთავრებელი მშენებლობები იქვე იყო. რევიზორებს მაშინ განგაში რომ აეტეხათ, ასიათასობით მანეთს გადაარჩენდნენ. მაშინ მხოლოდ 200 ათასი მანეთის წამატება იყო. შემდეგ 750 ათას მანეთზე მეტი დაემატა. ყალბისმქმნელები ალბათ დარწმუნებული იყვნენ, ქვის შენობები ენას ვერ ამოიდგამდნენ.

საქმე მხოლოდ რევიზორებს როდი ეხება. სამწუხაროდ, მიღება-ჩაბარების ყალბ აქტს ხელს აწერს რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების ტექნიკური ზედამხედველი შ. გოგიტიძე. მან დანაშაულის მხილების ნაცვლად ბორტმოქმედებს სიყალბე დაუკანონა. გაკვირვებას იწვევს რაიონული ბანკის მესვეურთა უმოქმედობა. აი, რა მოპყვა განუკითხაობასა და დაუდევრობას.

საკითხავია, ასეთ დიდ თანხებს როგორ აფორმებდნენ და გამოჰქონდათ ბანკიდან? საბჭოში ადგენენ არარსებულ სამუშაოთა „შესრულების“ ყალბ უწყისებს და ასობით ადამიანის მაგივრად თვითონ აწერდნენ ხელს. უწყისები სავსეა „მკვდარი სულებით“, „ადამიანებით“, რომლებიც საერთოდ არ არსებობს. ზოგჯერ ისე თავზედადებულნენ, რომ ახალი უწყისების შესადგენადაც არ იწუხებდნენ თავს, წინა თვეების უწყისებით სარგებლობდნენ და განმეორებით გამოჰქონდათ თანხა.

შემოწმებისას გამოჩნდა, რომ ბულალტერიაში სრული ქაოსი სუფევდა. მთავარი ბუღალტრის მოვალეობას ასრულებდა სახელმწიფო ქონების დატაცებისათვის აღიარ ნასამართლევი უ. ბერიძე. მოლარე ნ. დიასამიძე და მთავარი ბუღალტერი უ. ბერიძე საბჭოს თავმჯდომარეს ათასნაირ კომბინაციებსა და წამატება-დატაცებაში არა მარტო ხელს უწყობდნენ, არამედ ამღვრეულ წყალში იჭერდნენ თევზს. ყალბისმქმნელებსა და დამტაცებლებს ასე დაადგათ ყელზე უშრომელი შემოსავლის ლუკმა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მათკენ სამართლმა ძალიან გვიან გაიკვლია გზა, ამიტომ უნდა მოეკითხოს ყველას, ვინც ეს დანაშაული იცოდა და არ ამხილა, ვინც გაუმართლებელი დუმილით ქვეყანას დიდი ზარალი მიაყენა.

მ. გოგრგილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

უკეთური არჩევანი

რნეობათაშორისო სამშენებლო საბჭომ 1982 წელს დაიწყო და 1983 წელს „ჩაბარა“. სხვათა შორის აქტში ჩაწერილია, რომ მშენებლობა შესრულებულია „ეარგზე“. ფაქტობრივად საკონტროლო გაზომვით დადგინდა, რომ ობიექტზე 9300 მანეთის წამატება იყო. ცხმორისისა და რაიონის სხვა მშენებარე ობიექტებზე არსებული მდგომარეობის შესახებ სიგნალი შევიდა რაიონის პროკურატურაში. პროკურატურამ გაერთიანებას მისწერა, ქედის საკოლმეურნეობათაშორისო საბჭოში მოეწყოთ რევიზია. შემოწმებით გამოირკვა, რომ წამატებები იყო თითქმის ყველა ობიექტზე. მაგალითად, ცხმორისის ვეტუბანი აქტით 1983 წელს გადაეცა საექსპლოატაციოდ. სინამდვილეში 9900 მანეთის სამუშაო დღესაც შეუსრულებელია. ოქტომბრის კოლმეურნეობის კლუბ-კანტორის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 165 ათას მანეთს შეადგენდა. 1982 წელს გაფორმებულ აქტში ვკითხულობთ, რომ შენობა მთლიანად „ჩაბარდა“. სინამდვილეში კანტორის მშენებლობაზე 60 ათასი მანეთის წამატებანი იყო. იგი დღესაც დაუმთავრებელია. მიღება-ჩაბარების აქტები უხმაუროდ და ფარულად ფორმდებოდა. ბოლქვაძე ზემდგომ ორგანოებში ყალბ ცნობებს გზავნიდა, თითქოს მშენებლობის გეგმებს გადაჭარბებით ასრულებდა. ამ გზით რაიონსა და გაერთიანებაში მოწინავე ორგანიზაციად ითვლებოდა. საბჭოს თავმჯდომარემ, რაკი პირველი ცოდვები შერჩა და ფონს მშრალად

ინტერნაციონალიზმის მერიდიანები

სადღეგრძელო

ტიტულებით იმიტომ კი არ ვიწყებ, რომ ასეა მიღებული, არამედ იმიტომ, რომ ეს ის შემთხვევაა, როცა ტიტულებს მართლა შეუძლია წარმოაჩინოს მეცნიერი:

საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ორგზის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი და ამასთანავე მთელი რიგი უცხოეთის ქვეყნების მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი — ავსტრიის, ბულგარეთის, ბრიტანეთის, უნგრეთის, აგრეთვე ბუდაპეშტის, ოქსფორდის, ედინბურგის, ციურიხის უნივერსიტეტების საპატიო დოქტორი, დაჯილდოებულია კირილესა და მეთოდეს და სხვა საერთაშორისო პრემიებით. პიროვნების წარმოსადგენად ამას უნდა დამატოს, რომ იგი დიდი რუსი მამულიშვილი, ბრწყინვალე მოქალაქე დ მთლიანი, უდრეკი პიროვნებაა.

და მაინც, შეუძლებელია საგაზეთო წერილში დიმიტრი სერგის ძე ლიხაჩოვის პიროვნული ღირსებისა და მეცნიერული კვლევის მასშტაბის სისრულით წარმოსახვა. იგი იშვიათად ფართო დიაპაზონის მკვლევარი, ძველი რუსული მწერლობისა და, საერთოდ, კულტურის ღრმად მცოდნეა, ექვსი ათეული წლის მანძილზე იკვლევს ძველ რუსულ ლიტერატურასა და უბადლო ტექსტოლოგიური აპარატურით აქვეყნებს ძველ ტექსტებს. მისი კვლევის ძირითადი პრინციპია

პავლე ბლიახინი, ივანე პერესტიანი და „წითელი ეშმაკუნები“

წლეულს სრულდება საბჭოთა მწერლისა და საზოგადო-პოლიტიკური მოღვაწის, რევოლუციის აქტიური მონაწილის, 1903 წლიდან კომუნისტური პარტიის წევრის პავლე ანდრიას ძე ბლიახინის 100 წლისთავი. იგი ცნობილია როგორც ავტორი მოთხრობისა „წითელი ეშმაკუნები“ („ცისფერ მელაზე ნადირობა“). მანვე დაწერა ისეთი პოპულარული მოთხრობები, როგორიცაა „განთიადისა“, „მოსკოვი ცეცხლში“, „შეფოთვარე დღეები“, რომლებშიც ასახულია 1905 წლის რევოლუციის წინა პერიოდი და მისი მომდინარეობა, შთამბეჭდავად არის გაცოცხლებული მოსკოვის, თბილისის, ბაკოს, ასტრახანის პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის სურათები. მასვე ეკუთვნის კინოსცენარები „ბოლშევიკი მამედი“, „იუდა“, პიესები „გამარჯვებიდან მშვიდობისკენ“, „კომუნიზმის გამოცხადება“ და სხვები.

პ. ბლიახინის ცხოვრება მჭიდროდ არის დაკავშირებული საქართველოსთან, კერძოდ, თბილისთან. ოციან წლებში იგი აქ ცხოვრობდა, მუშაობდა საბჭოთა კინემატოგრაფიის ერთ-ერთ წამომწყებს ივანე ნიკოლოზის ძე პერესტიანს, ლიტერატურისა და კინოს სხვა მოღვაწეებს.

პირველად წიგნი „წითელი ეშმაკუნები“ 1923 წელს დაიბეჭდა გაზეთი „ბაკინსკი რაბოჩის“ გამომცემლობაში. წიგნის გამოცემის წინ თბილისში გამომავალი ჟურნალი „კრასნიე ვსხოდი“ — რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ამერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ორგანო — მკითხველებს აცნობინებდა:

„წიგნი ჯერ არ გამოქვეყნებულა. იგი ეს-ეს არის დაწერა და იბეჭდება ბაკოში, აგრეთვე მზადდება რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ამერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მიერ ქართულ და სომხურ ენებზე გამოსაცემად. ამჟამად ნაწარმოები ითარგმნება ამ ენებზე.

რას წარმოადგენს ეს წიგნი? იგი შესაძენია, და უსათუოდ, ძვირფასი შესაძენიც ლიტერატურის იმ დარგისა, რომელზეც ჩვენი კავშირი ესოდენ ბევრს ლაპარაკობს, ეგრეთ წოდებული „წითელი რომანტიკის“ ლიტერატურისა.

უფრო მეტიც, ეს მოთხრობა ამ ჩვენი რომანტიკის საძირკველში ჩადებული პირველ ქვას წარმოადგენს... მოთხრობა დაწერილია უაღრესად საინტერესოდ, ნათლად და ლამაზად.

...რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი მიზნად ისახავს „წითელი ეშმაკუნების“ ინსცენირებას, შესაბამისი კინოფირის გადაღებას.

როგორც პ. ბლიახინის მეუღლე ხ. ბლიახინა-ტოპოროვსკაია წერს, მოთხრობის დაბეჭდვისთანავე ახალგაზრდობამ იერიში მიიტანა საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატზე: „გვიჩვენეთ „ეშმაკუნები“ ეკრანზე!“. განათლების სახალხო კომისარიატმა მხარი დაუჭირა ახალგაზრდობის ინიციატივას“.

მოთხრობით სერგო ორჯონიკიძეც დაინტერესდა. ესმოდა რა ახალგაზრდა, ჯერ კიდევ მოუმგრებელი კინემატოგრაფის ყველა სიძნელე, მან დახმარება სთხოვა „წითელი არმიის ხელმძღვანელობას, პირადად მის მეთაურს ა. ეგოროვს. მოგვიანებთან, 40 წლის შემდეგ, ი. პერესტიანი წერდა: „პირდაპირ ვიტყვი — ეგოროვი რომ არა, „წითელი ეშმაკუნებიც“ არ იქნებოდა. არმიის მეთაურმა გადაღებისათვის გამოგვიყო აღჭურვილობა, ფეხსაცმელი, ცხენები, იარაღი და დიდი ცხენოსანი ნაწილი. წითელმა არმიამ უშველა თავის ნორჩ გმირებს“.

ივანე პერესტიანმა ს. ორჯონიკიძის რჩევით ფილმის ეკრანიზება გადაწყვიტა საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის კინოსექციაში (მომავალი სახკინმრეწვი), რომელიც იმ წლებში ამერკავკასიის ერთადერთი მსხვილი კინემატოგრაფიული ცენტრი იყო. რეჟისორად მოშაობა ი. პერესტიანმა საქართველოში დაიწყო პავლე ბერონის კინოატელიეში, რომელსაც ორი ოთახი ეკავა მიხეილის ქუჩაზე (ამჟამად პლეხანოვის პროსპექტი) მდგომ ერთსართულიან შენობაში. 1921 წელს ი. პერესტიანი განათლების სახალხო კომისარიატთან არსებული კინომრეწველობის აკადემიური სახეჭის წევრად დანიშნეს.

მოთხრობას როცა გაეცნო, მან უმალ იგრძნო, რომ ნაწარმოები დინამიკური სათავგადასავლო ფილმის შექმნის უდიდეს შესაძლებლობებს იძლეოდა. იმ წლებში სალონური პერსონაჟები წარსულს ჩაბარდა. საჭირო იყო ახალი გმირები, რომლებიც გამარჯვებული ხალხის ოპტიმიზმსა და მამაცობას განასახიერებდნენ. „წითელ ეშმაკუნებში“ ი. პერესტიანი სწორედ ასეთ გმირებს შეხვდა. მიშა, დუნიაშა და ჩინელი ბიჭი იუ-იუ კარგი ტანმოვარჯიშეები, ჩინეზული მოფარიკავეები, მოჯირითეები არიან, მათ იციან კრივის ილეთები და აუცდენლად ესროლიან მიზანს. პირველი ცხენოსანი არმიის ნორჩი მზვერავები საოცარ სიმამაცეს იჩენდნენ და თვით ატამან მახნოს ჩიაგდებენ ტყვედ. დევნის, ციცაბო კლდიდან დნეპრში ხტომის, ბანდიტებთან „ეშმაკუნების“ ჭიდილისა და სხვა ეპიზოდები კინოფილმის საუცხოო მასალა შეიძლებოდა გამხდარიყო.

სურათის შინაარსი სცილდებოდა სათავგადასავლო ჟანრის ვიწრო ფარგლებს, რომლის ნიშუშებსაც მაყურებელი ნახულობდა ამერიკული „ვესტერნების“ სახით, წალეკილი რომ ჭრნდათ იმ ხანად ჩვენი ეკრანები. „წითელ ეშმაკუნებში“ პირველად წარმოჩნდა მკაფიოდ და დიდი მხატვრული დამაჯერებლობით სამოქალაქო ომის ქარცეცხლიდან აღმდგარი ახალი სამყაროო, ომისა, რომელიც 1923 წელს ჯერ ისტორიად არ ქცეულიყო და კვლავაც თანამედროვეობად აღიქმებოდა.

მოთხრობის ეკრანიზებისას ი. პერესტიანი ხშირად ესწრებოდა თბილისის ცირკის წარმოდგენებს, რომელიც აგრეთვე ერთადერთი მსხვილი ამგვარი დაწესებულება იყო ამიერკავკასიაში. მან აქ მანეეზე ნახა თექვსმეტი წლის მავთულზე ბოსიაოული სოფიო ყოზეფი, კლოუნი პაჭ პაჭი (ნამდვილი სახელი პავლე ესაკოვსკი) და ოცდაშვიდი წლის ზანგი კადორ ბენ-საიბი (სხვა წყაროებით ბენსალიტი — მოკრივე, აკრობატი და ილუზიონისტი). ბენ-საიბი საფრანგეთის არმიაში მომსახურე სენეგალელი იყო, რომელიც ოდესაში დარჩა ანტანტის ჯარების გამგზავრების შემდეგ. რეჟისორმა სამივე მსახიობი მიიწვია „წითელ ეშმაკუნებში“ გადასაღებად.

მოთხრობის ჩინელი პერსონაჟის იუ-იუს ზანგით შეცვლის რეჟისორი ასე უხსნიდა პ. ბლიახინს მისთვის გაგზავნილ წერილში: ა) ეკრანი ვერ იტანს თეატრალურ გრიმს, იაფფასიან თხიანად აქცევს მას; ბ) თუნდაც რომ გგვერისაკ გრიმის გამოყენება, აქ არც ნამდვილი კინოპარიკმახერი გვყავს, და არც ნამდვილი კინოგრიმსახიობი; გ) ზანგი უაღრესად ნავარჯიშევი მსახიობია, რის გამოც იგი შეუცვლელია იმ სასწაულებრივი სიმარჯვისა და სიმამაცის ამსახველი ეპიზოდების გადაღებისას, რომელსაც ჩემი სამეული იჩენს“. ბენ-საიბი ფილმში ოქცა ქუჩის ჯამბაზად, რომელსაც პატრონის რისხვისაგან იხსნიან მიშა და დუნიაშა.

ფილმის სცენებს (ოპერატორი — ა. დიღმელოვი) იღებდნენ თბილისში, მის შემოგარენში, ვორონცოვკაში, (ამჟამად კალინინო) სომხეთის სს რესპუბლიკაში), აგრეთვე ბათუმში. იმ წლებში კინოფილმების გადაღების დროს ჯერ კიდევ არ იცოდნენ რა იყო მონტაჟი, მსახიობები, ნამდვილი ცირკის მსახიობებივით თვითონ იგონებდნენ უამრავ მოულოდნელ და სასაცილო ტრიუკს. მაგალითად, ბათუმის შორიახლოს გადაიღეს ღრმა ხეგზე ნორჩი გმირების გადასვლის სცენა. ფიქვების კენწეროებზე დამაგრებული ბაგირი თხუთმეტ მეტრზე მეტ სიმაღლეზე იყო გაჭიმული. იქვე, ბათუმთან იღებდნენ მეორე სატრიუკო სცენას: მახნოელი გონდაკარგულ მიშას ათმეტრიან კლდიდან აგდებს. მის ქვალდაკვალ წყალში გადაეშვება ბენ-საიბი, რომელიც მანამდე დანით განგმირავს ბანდიტს. ამ სცენაშიც და რკინიგზის სადგურზე გადაღებულ ეპიზოდებშიც, როცა როლების შემსრულებლებს გაქანებული მატარებლის ერთი ვაგონიდან მეორეზე ხტომა უწევდათ, მსახიობები დიდ სისხარტესა და გულადობას ამჟღავნებდნენ.

„95 დღეი ოცზე მეტი ობიექტი გადავიღეთ, რომელთაგან ბევრი მასობრივი იყო, — წერს თავის მოგონებებში ი. პერესტიანი. აგვისტოში ვორონცოვკაში მოგვიხდა გამგზავრება. აქ დაბანაკებული იყო ცხენოსანი პოლკი, რომელიც ჩვენს სურათში განასახიერებდა იერიშზე გადასულ ბუდიონნის კავალერისტებს. ძალზე საინტერესოა, რომ ამ შეტევაში მონაწილეობდა მთელი ჯგუფი ოფიცრებისა, შემდგომში რომ სახელგანთქმული მარშლები და გენერლები გახდნენ ჰიტლერთან ომის დროს“.

კინოსურათმა „წითელმა ეშმაკუნებმა“ ისეთი აღტაცება გამოიწვია, რომელიც შეიძლება შეედაროს მხოლოდ იმ აღფრთოვანებას, 11 წლის შემდეგ „ჩაპაევს“ რომ ხვდა წილად. კრიტიკა ერთხმად აფასებდა ფილმს ახალგაზრდა საბჭოთა კინემატოგრაფის პირველ, ნანატრ გამარჯვებად. ფილმმა დაიმსახურა იმ წლებში დაწესებული მუშა მაყურებელთა წითელი დროშა, ხოლო გადამღები ჯგუფის წევრებს წითელდროშოვანი სურათის მონაწილეთა მოწმობები და საქართველოს სახკინმრეწვის სპეციალური სამკერდე ნიშნები გადაეცათ.

ფილმი „წითელი ეშმაკუნები“ ნახა ვ. ი. ლენინმა. ვლადიმერ ილიას ძის და მ. ი. ულიანოვა წერდა: „რა სიამოვნებით ნახულობდა ვლადიმერ ილიას ძე ახალ რევოლუციურ ფილმებს. მისი ცხოვრების ბოლო თვეებში შინაური კინემატოგრაფი მოუწყვეს და სეანსები თითქმის ყოველდღე იმართებოდა. 1974 წლის 1 იანვრის „პრავდაში“ გამოქვეყნებულ ნარკვევში „ნაძვის ხე გორკაში“, რომელიც შემდეგ მრავალჯერ გამოიცა ცალკე წიგნად, მოთხრობილია: „დიდ დარბაზში, სადაც მაშინ ილიჩი ცხოვრობდა, ქვევით იყო ვრცელი სათავსი ეკრანი. ნოემბრის დამლევს ლენინმა აქ ნახა დოკუმენტური ფირი „ოქტომბრის რევოლუციის მეექვსე წლისთავი“, ხოლო იანვრის დამლევს, ახალი მხატვრული ფილმი „წითელი ეშმაკუნები“.

1966 წლის დეკემბერში ხიმკის სტამბის მუშები ეწვივნენ ლენინის სახლ-მუზეუმს გორკაში. მათ უჩვენეს „წითელი ეშმაკუნების“ ფირით დამუხტული ძველი კინოაპარატი. „ვლადიმერ ილიას ძე, — ეკითხულობთ მონათხრობში იმ სტუმრობაზე, — ამ ფილმს ახალგაზრდობისათვის შემქმნელ მშვენიერ ფანტაზიად იხსენიებდა“

თბილისში ჩამოსვლისას ა. ლუნაჩარსკიმ მიიღო მსახიობები, რომლებმაც გულადი „ეშმაკუნების“ როლი შეასრულეს, და ფოტოსურათი გადაიღო მათთან. ეს ფოტო გამოქვეყნდა 1962 წელს ჟურნალ „სოვეტსკი ცირკის“ მე-4 ნომერში.

მოგვიანებით ი. პერესტიანმა გადაიღო პ. ბლიახინის კიდევ რამდენიმე მოთხრობა, რომლებიც „წითელი ეშმაკუნების“ თემას განაგრძობდნენ. ეს ფილმები იყო „სავურ-სამარე“, „შირვანშაჰის ასულის დასჯა“, „გველის კუნძული“, რომლებშიც აგრეთვე თამაშობდნენ პ. ესიკოვსკი, ს. ჟოზეფინი, ბენ-საიბი, მაგრამ პ. ბლიახინისავე აზრით, ამ ფილმების მნიშვნელობა მცირე იყო. 1939 წელს პ. ბლიახინმა დაწერა სცენარი „სალომე“, რომელიც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღეებს ეძღვნება.

მტკიცე მეგობრობა აკავშირებდათ პ. ბლიახინსა და ი. პერესტიანს. პ. ბლიახინი დიდად აფასებდა მის ისეთ ფილმებს, როგორიცაა „არსენა ჯორჯაშვილი“, „სურამის ციხე“, „სამი სიცოცხლე“, „ზამალუ“, „ანუში“ და სხვები.

პ. ბლიახინის ასი წლისთავი პირველი კინოსეანსების 90 წლისთავს ემთხვევა — ბედნიერი დამთხვევაა.

ისოა დაგვრჩენია დავძინოთ, რომ პ. ბლიახინის სიკვდილის შემდეგ (1961 წელს) კინემატოგრაფისტები კვლავ დაუბრუნდნენ მოთხრობას „წითელი ეშმაკუნები“, ახლებურად წაიკითხეს იგი და თანამედროვე გამომსახველი საშუალებების — ბგერის, ფერის, ფართო ეკრანის — გამოყენებით შექმნეს ამაღელვებელი კინოსურათი „მოუხელთებელი შურისმაძიებლები“.

რ. დავიდოვი,
საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტი.

ᲐᲛᲐᲒᲘᲡ ᲓᲐᲤᲐᲡᲔᲑᲐ

ᲐᲛᲐᲡ წინათ გეგეჭკორელმა მშრომელებმა რაიონულ კულტურის სახლში სიყვარულით აღნიშნეს ომისა და შრომის ვეტერანის, თვითნასწავლი კომპოზიტორისა და მომღერლის ევგენი კიკალიშვილის 85 წლისთავი.

ამ კაცმა მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების მანძილზე მხიშვნელოვანი ამაგი დასდო ქართული ხალხური სიმღერის განვითარების საქმეს: გატაცებით ქმნიდა სიმღერებს, რომელთაგან ზოგიერთი დღესაც ამშვენებს რესპუბლიკის თვითმოქმედი კოლექტივების რეპერტუარს, 65 წლის წინათ კი გეგეჭკორში ჩამოყალიბა ხალხური სიმღერის ანსამბლი, რომელმაც მრავალი წარმატება მოიპოვა რესპუბლიკურ ოლიმპიადებზე.

რაიონის მშრომელებმა, ინტელიგენციის წარმომადგენლებმა, ფოლკლორული სიმღერების მოყვარულთა კლუბის „ჟყონდიდის“ წევრებმა გულთბილად მიულოცეს ე. კიკალიშვილს 85 წლისთავი, აღნიშნეს, რომ მის მიერ განვლილი ცხოვრების გზა ნთელი მაგალითია ახალგაზრდობისათვის, მაგალითია, იმისა, თუ როგორ უპრეტენზიოდ, უჩუმრად უნდა ემსახუროს საყვარელ საქმეს, შობელ ქვეყანას.

ბ. ხარებავა.

სასამართლო დარბაზიდან

ᲜᲐᲠᲙᲝᲢᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲡᲐᲚᲔᲑᲚᲔᲑᲡ ᲡᲐᲙᲐᲓᲠᲘᲡᲘ ᲛᲘᲔᲖᲚᲝᲗ

ᲤᲝᲗᲘ. კიდევ ოთხი სიკვდილის მეიჩქუელს დანაშაულებრივ პარპაშს მოეღო ბოლო. ამჯერად განსასჯელის სკამზე აღმოჩნდნენ ნარკოტიკულ ნივთიერებათა გამსაღებელ-მომხმარებლები — გროზნოელი მუქთახორა, ნარკომანი, ოპიუმის მომწოდებელი ახმატ ასლანბეგი გირეევი, ხობელი პარაზიტი, ნარკომანი, ადრე სხვადასხვა დანაშაულისათვის ნასამართლები, ადმინისტრაციულ ზედამხედველობაში მყოფი ალექსანდრე პატიკოს ძე ბუკია, ფოთელი შენიღლულად რესტორანში ჭურჭლის მრეცხავად მომუშავე ელენე ბორისის ასული. ტენდიტი, ცხაკაიელი უსაქმური ლოლიტა ავთანდილის ასული კუჭმინა.

დაუკავშირდნენ რა ერთმანეთს, ამ ნაძირალებმა ხელი მიპყვეს ოპიუმის დამზადებას, გამოყენებასა და გავრცელებას. ამაში მთავარი ფიგურა იყო ა. გირეევი, რომელიც გროზნოში შოულობდა, ამზადებდა და თანამზრახველებს ამარაგებდა ოპიუმის საწამლავით. ისინი მონაცვლეობით „სტუმრობდნენ“ ერთმანეთს, ნარკოტიკებს სასოებით ეწოფებოდნენ და სხვა მხრივაც თავაშველულ, გარყვნილ ცხოვრებას ეწეოდნენ.

ვინ იცის, რამდენ გულუბრყვილო და გზასაცდენილ ადამიანს მოწამლავდნენ ისინი შხამით, მართლმსაჯულებას რომ ფარდა არ აეხადა ამ გარეწარი ოხბეულის მძიმე დანაშაულისათვის.

მათი ბრალდების საქმე განიხილა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის სასამართლო კოლეგიამ (ფოთის გამსვლელ სხდომაზე და გამოიტანა განაჩენი: ა. ა. გორეევს მესაჯა თავისუფლების აღკვეთა 13 წლით, ა. პ. ბუკიას — 11 წლით, ე. ბ. ტენდიტს და ლ. ა. კუჭმინას — 8-8 წლით და პირადი ქონების კონფისკაცია.

კ. კომახიძე,
„კომუნისტის“ კორ.

მსოფლიო ჩემპიონატი ჰავანაში

ᲐᲛᲯᲘᲠᲐᲓ ᲡᲘᲤᲠᲗᲮᲘᲚᲘᲐ ᲐᲛᲯᲘᲠᲒᲘᲜᲔᲡᲗᲕᲘᲡ

ᲙᲐᲢᲐᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ დასაწყისი, ლაზიერის გამბიტისა და რეტის დებიუტის ეს თავისებური ჰიბრიდი, რომელიც თვის დროზე დაამუშავა ცნობილმა დიდოსტატმა ტარტაკოვერმა, თანამედროვე ჟადრაკში საკმაოდ პოპულარული დასაწყისი გახლავთ. პირველ პარტიაში მან მსოფლიო ჩემპიონს სრული წარმატება მოუტანა. როცა მესამე შეხვედრაში ჩიბურდანიძემ კვლავ კატალონიურ დებიუტს მიმართა, პრეტენდენტმა გაითვალისწინა ადრინდელი მარცხი და ამჯერად ბრძოლისათვის საფუძვლიანად მოემზადა.

საინტერესოა, რომ ჩემპიონმა პირველმა გადაუხვია მატჩის სასტარტო პარტიას. ახმილოვსკაია თავისებური დილემის წინაშე იდგა: ლაზიერის ფრთაზე დაცვით შემოფარგლულიყო თუ საპასუხო აქტიური მანევრები წამოეწყო. მან მეორე, მართებული გზა აირჩია და თანაბარი თამაში მოიღო. მრავალრიცხოვანი გაცვლების შემდეგ წონასწორობა შენარჩუნებულ იქნა. მართალია, ჩიბურდანიძე პირველი დაეუფლა ღია ხაზს, მაგრამ ახმილოვსკაია ზუსტად თამაშობდა და შეძლო ოთხი ეტლის გაცვლის შემდეგ თამაშის სრულიად თანაბარ ენდშპილში გადაყვანა. ბრძოლის გაგრძელებას აზრი არა ჰქონდა და დაფაზეც „ზავი იქნა ჩამოგდებული“.

ის, რომ მესამე პარტია არ იყო წინა შეხვედრებივით მძაფრი, არავის უნდა გაუკვირდეს. მატჩი საკმაოდ ხანგრძლივია და ამნაირი შეხვედრები ორივე მხარეს სჭირდება. უფრო მართებული იქნება, თუ ვიტყვით, რომ ეს უნდა იყოს მცირეოდენი შესვენება ახალი მძაფრი შეხვედრებისთვის.

მესამე პარტია
ჩიბურდანიძე-ახმილოვსკაია
კატალონიური დასაწყისი

1. d4 ᲞᲤ6 2. c4 e6 3. g3 ᲒᲑ4+ 4. ᲓᲒ2 de7 5. ᲓᲒ2 d5 6. ᲞᲤ3 0-0 7. 0-0 c6 8. ᲡᲒ2 ᲑᲔ9 9. ᲛᲔ5 ᲒᲑ7 10. cd cd 11. ᲒC1 ᲒᲓ6 12. ᲓᲒ5 ᲰᲔ8 13. Გ:f6 Ს:f6 14. f4 ᲡᲔ7 15. ᲛC3 ᲛD7 16. ᲛᲑ5 ᲒᲐC8 17. ᲡᲐ4 Გ:e5 18. fe ᲒC6 19. ᲡᲐ3 Ს:Ა3 20. Მ:Ა3 ᲰᲔ6 21. fe Მ:f6 22. ᲒC3 ᲒD7 23. ᲒAC1 ᲒC3 24. ᲒC3 ᲒC8 25. ᲒC8+ ᲒC8 26. ᲛᲑ5 a6 27. ᲛC3 ᲒD7 28. ᲒF3 ᲛᲒF7 29. ᲛᲒF2 ᲧᲐᲛᲔ.

ამრიგად, ანგარიში გახდა 2:1 მაია ჩიბურდანიძის სასარგებლოდ. მეოთხე პარტია დღეისათვის არის დანიშნული. თეთრებით თამაშობს ელენე ახმილოვსკაია.

Ბ. ᲑᲐᲛᲠᲔᲙᲔᲚᲘ.

ᲡᲐᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘᲐᲓᲝ ᲛᲔᲠᲘᲓᲘᲐᲜᲖᲔ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. „იზმაილოვოს“ სპორტის სასახლეში გრძელდება სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ძალოსნობაში. 52 კგ წონის კატეგორიაში სპარტაკიადის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა ფერგანელმა სტუდენტმა ი. ისაკოვმა. ვერცხლის მედალი წილად ხვდა ო. ამუგათოიანს (სომხეთი), ბრინჯაოსი — პ. სულეიმანოვს (აზერბაიჯანი), მსუბუქ წონის კატეგორიაში ჩეჩნიონი გახდა ზაპოროჟიელი ვ. ალეშკინი, მეორე ადგილზე გამოვიდა კიშინოველი ფ. კასაპუ, მესამე ადგილი წილად ხვდა ბაკოელ რ. გასანოვს. 56 კგ წონის კატეგორიაში უძლიერესი იყო პოდოლსკელი ვ. სოკოლოვსკი, ვერცხლის მედალი წილად ხვდა ა. სარგავაკიანს (სომხეთი), ბრინჯაოსი — ვ. ხარიტონჩიკს (ბელორუსია). 60 კგ წონის კატეგორიამდე სპორტსმენთა შეჯიბრებაში ოქროს მედალს დაეუფლა პიატიგორსკელი ვ. ლეონოვი, მეორე ადგილზე გამოვიდა უკრაინელი ი. სტადნიუკი, მესამეზე — ვოროშილოვგრადელი ი. უზაფაროვი.

რაპირისტთა გუნდურ შეჯიბრებაში საქართველოს მოფარიკავეები აზერბაიჯანის გუნდს შეხვდნენ. გაიმარჯვა აზერბაიჯანის გუნდმა, ქართველ რაპირისტთა გუნდი IX-XIII ადგილებისათვის მებრძოლ კოლექტივებს შეუერთდა. აქ მათ მოუგეს თურქმენეთის ნაკრებს — 9:1, დამარცხდნენ ტაჯიკეთის გუნდთან —3:9 და ფრედ დაამთავრეს შეხვედრა ყაზახეთის რაპირისტებთან — 8:8. ჩხვლეტების უკეთესი შეფარდებით გაიმარჯვეს ქართველმა სპორტსმენებმა და საბოლოოდ XI ადგილი და 12 ჩასთვლელი ქულა მოიპოვეს.

ხალახის ჰოკეისტთა ფინალური ტურნირის პირველ მატჩში ჩვენი რესპუბლიკის ვაჟთა ნაკრები შეხვდა შეჯიბრების ერთ-ერთ ფავორიტს უზბეკეთის ნაკრებს და დამარცხდა ანგარიშით —- 0:10.

ᲡᲐᲢᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲝᲠᲑᲘᲢᲐ

ᲤᲔᲮᲔᲖᲣᲠᲗᲘ. გაიმართა უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები. თბილისის „დინამო“ მასპინძლობდა მოსკოვის „ტორპედოს“. ანგარიშით 4:3 გაიმარჯვა. თბილისის „დინამომ“. ქუთაისის „ტორპედომ“ მიიღო ალმა-ათის „უაირათი“. შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 2:2. სხვა შეხვედრების შედეგები ასეთია: ლენინგრადის „ზენიტი“-მოსკოვის „სპარტაკი“— 0:1, ერევნის „არარატი“-ოდესის „ჩერნომორეცი“ — 1:1, დონეცკის „შახტიორი“-დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“ — 1:1, ბაქოს „ნეფტჩი“-მინსკის „დინამო“ — 1:1, ხარკოვის „მეტალისტი“-კიევის „დინამო“ — 1:0, კაუნასის „ჟალგირისი“-მოსკოვის „დინამო“ — 1:1.

სადღეისოდ გუნდების სატურნირო მდგომარეობა ასეთია:

	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“	10	6	7	88:18	26
„ზენიტი“	10	6	6	34:22	26
„შახტიორი“	9	8	6	32:22	26
„დინამო“ მ.	9	8	4	27:21	26
„დინამო“ თბ.	8	8	7	24:26	24
„ტორპედო“ მ.	7	11	6	25:24	24
„დინამო“ კ.	8	7	3	25:16	23
„დნეპრი“	7	9	7	31:30	23
„ნეფტჩი“	6	11	6	25:24	22
„ჟალგირისი“	8	5	10	20:26	21
„არარატი“	7	7	9	19:24	21
„დინამო“ მნ.	7	7	9	22:32	21
„უაირათი“	7	7	9	20:30	21
„ჩერნომორ.“	7	6	10	21:24	20
„მეტალისტი“	6	7	9	16:19	19
„ტორპედო“ ქ.	4	7	12	22:43	15

გაიმართა პირველი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მორიგი 33-ე ტურის მატჩები. ლენინგრადის „გეოლოგმა“ მიიღო როსტოვის „როსტელმაში“ და გაიმარჯვა ანგარიშით 2:1, ბათუმის „დინამო“ როსტოვში შეხვდა ადგილობრივ ასკ-ს და დამარცხდა დიდი ანგარიშით 0:5. სხვა შეხვედრების შედეგები ასეთია: „ფაკელი“-„ლოკომოტივი“ — 0:2, „ყუბანი“-„ბოტაიკი“ — 1:0, „ატლანტასი“-„ისკრა“ 1:1, „დაუგავა“-„შინიკი“ — 0:0, ასკ „კარპატი“-„მეტალურგი“ — 2:0, „ნისტრუ“-„კოლოსი“ — 2:1, „სპარტაკი“-სტავროპოლის „დინამო“ — 2:2.

ᲖᲠᲩᲔᲜᲣᲠᲗᲘ. ჩეხოსლოვაკიაში ქალთა მსოფლიო ჩემპიონატის პირველ ნახევარფინალურ მატჩში, რომელიც პრაღაში ეწყობა, სსრ კავშირის ნაკრებმა ანგარიშით 3:0 დაამარცხა იტალიის ნაკრები, გდრ-ის ნაკრებმა მოუგო იაპონიას გუნდს — 3:0, შეჯიბრებას ლიდერობენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სპორტსმენები (3 მოგება), მომდევნო ადგილებზე არიან იაპონიის და გდრ-ის (ორ-ორი მოგება), სსრ კავშირისა და აშშ-ს გუნდები (თითო მოგება), იტალია არც ერთი. მეორე ნახევარფინალში, რომელიც ქალაქ ოსტრავაში იმართება, მატჩები ასე დამთავრდა ბულგარეთი-ბრაზილია — 3:2, კუბა-სამხრეთ კორეა 3:1, პერუ-ჩეხოსლოვაკია — 3:1, აქ ლიდერობს კუბის ნაკრები (3 მოგება) მომდევნო ადგილებზე არიან ბულგარეთის, პერუსა და სამხრეთ კორეის გუნდები (ორ-ორი მოგება), ბრაზილია (1), ჩეხოსლოვაკია (0).

ᲙᲠᲘᲖᲘ. ჩელიაბინსკში „ტრუდის“ ცენტრალური საბჭოს ჭაბუკ მოკრივეთა პირველობაზე (1970-71 წწ. დაბადებულნი) წარმატებით იასპარეზა ჭიათურელმა თამაზ ბუაძემ (74 კგ) და ტურნირში პირველი ადგილი მოიპოვა. 91 კგ წონითს კატეგორიაში მეორე ადგილი წილად ხვდა თბილისელ სიმონ მარკარიანს.

ᲠᲝᲒᲝᲖᲣᲠᲗᲘ. ამერიკის შეერთებული შტატების ახალგაზრდული ტურნირის ღია ჩემპიონატში, წყვილთა თანრიგში მეორე ადგილი დაიკავეს საბჭოთა სპორტსმენებმა — 15-წლის ლ. ბრიუ ხოვეცმა და 18 წლის ლ. მესხმა. ფინალურ შეხვედრაში საბჭოთა გოგონები დამარცხდნენ ჩეხოსლოვაკიელ სპორტსმენებთან რ. ზარუბაკოვასა და ი. ნოვოტნისთან — 4:6, 2:6.

რედაქტორი
ბ. ბედნენეიშვილი.

Ვ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ „ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲡ“ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲘ

11 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ

საბჭოთა კავშირის პირველობა

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

თბილისის „დინამო“ — ალმა-ათის „უაირათი“

დასაწყისი 20 საათზე.

ფეხბურთისა და ლატარიის ბილეთები ორგანიზაციებში გაიყიდება 9 სექტემბერს, სტადიონის სალაროებში კი გაყიდვა გუშინ დაიწყო.

ამონემენტის მფლობელებს ლატარიის ბილეთის შეძენა შეუძლიათ 11 სექტემბრის 12 საათამდე № 7 სალაროში.

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისათვის, სამამულო ომის მონაწილეთათვის იმუშავებს № 6 სალარო. სალაროები ღიაა: 10 საათიდან 19 საათამდე, შესვენება — 14-დან 15 საათამდე.

ამ გუნდების სათადარიგო შემადგენლობათა მატჩი გაიმართება 10 სექტემბერს 19 საათზე „დინამოს“ სტადიონზე. ავდრის შემთხვევაში მატჩი გაიმართება „ლოკომოტივის“ სტადიონზე.



ᲤᲐᲠᲗᲝᲕᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲝ ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘ

ᲨᲔᲜᲓᲔᲑᲐ ქ. წყალტუბოს კოორდინატული ტიპის 8000-ნომრიანი ავტომატური საატელეფონო სადგური. უკვე დამონტაჟებულია გამაძლიერებელი პუნქტი და გაყვანილია 30 კილომეტრი საერთო ხიგრძის სხვადასხვაგვარი კაბელი.

წყალტუბოს კავშირგაბმულობის კვანძში გაერთიანებულია ქალაქისა და სოფლების 49 საფოსტო განყოფილება. სისტემაში 365 ფოსტალიონი, ოპერატორი, ტელეფონისტი, მონტიორი, მექანიკოსი და სხვა პროფესიათა ადამიანი შრომობს.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗᲔᲑᲖᲔ: ტელეფონისტი ნატო ვარდანაძე; მოსაცდელი დარბაზი.

დ. ᲘᲐᲙᲝᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ „ᲤᲝᲢᲝᲤᲝᲢᲝ.

„ᲙᲣᲠᲝᲠᲢᲔᲑᲘ—86“

ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲒᲐᲛᲝᲤᲕᲔᲜᲐ

თბილისი არჩეულია დიდი საერთაშორისო სპეციალიზებული გამოფენის „კურორტები-86“ მოწყობის ადგილად, რომელიც რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მიღწევათ